

ამერიკის უნივერსიტეტის სკოლა

პროფესიული პროგრამების კატალოგი

გორი

2016

დამტკიცებულია ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის დირექტორის
№41(11.05.2016)ბრძანებით

დირექტორი _____

ამერიკის უნივერსიტეტის სკოლა

გორი, ცხინვალის გზ.№9

ტელ: 270558; 597733714

ელ/ფოსტა: a.unischool@gmail.com

ვებ-გვერდი: www.skola-gimnazia.edu.ge

ექთნის თანაშემწე

სახელწოდება: ექთნის თანაშემწე

სარეგისტრაციო ნომერი: 09102-პ

პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მესამე

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ექთნის თანაშემწის მესამე საფეხური პროფესიული კვალიფიკაცია

საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ექთნის თანაშემწის პროფესიული სტანდარტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს შემდეგ დაწესებულებებში და სოციალურ გარემოში:

- სტაციონარი
- რეაბილიტაციის ცენტრები
- შინმოვლა
- პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა და მოხუცთა სახლები)
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (ბაგა-ბაღი)
- ჰოსპისი

- თანმხლები პირი(მგზავრობა-მოგზაურობისას)

პროგრამის მიზანი:

ექთნის თანაშემწე არის სამედიცინო პერსონალი, რომელიც მუშაობს ექიმის/ექთნის მეთვალყურეობის ქვეშ, ფლობს მოსავლელი პირის/პაციენტის მოვლის ზოგად უნარებს და ზრუნავს როგორც პრაქტიკულად ჯანმრთელ (მელოგინე, ჩვილ და მცირეწლოვან), ისე ფიზიკური და ფსიქიკური დაავადებებისა თუ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე და ტერმინალურ პაციენტებზე, ინდივიდუალური (ასაკობრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური) სპეციფიკის გათვალისწინებით.

ექთნის თანაშემწის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტს ექთნის თანაშემწისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს ექთნის თანაშემწის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- მოსავლელი პირის/პაციენტის/მორიგეობის მიღება-გადაბარება
- პაციენტის მოვლის უზრუნველყოფა
- ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა
- უსაფრთხო და კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა პაციენტისა და საკუთარი თავისთვის
- კომპეტენციის ფარგლებში კომუნიკაცია პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან და მედპერსონალთან
- პირად პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

მოცულობა: 102 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 18 სასწავლო თვე

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულები-15 კრედიტის მოცულობით.

სახელწოდება: ბუღალტერ-ტექნიკოსი

სარეგისტრაციო ნომერი: 04106-3

პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით:მესამე

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ბუღალტერ-ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბიზნეს ერთეულებში, როგორც ბუღალტერი, საფინანსო სამსახურის (ბუღალტერიის) სპეციალისტი, ბუღალტერ-ტექნიკოსი (დამხმარე ბუღალტერი, რომლის სამუშაო ადგილი ბიზნეს ერთეულებში შეიძლება მოიხსენიებოდეს, როგორც ბუღალტრის მოადგილე, ბუღალტრის ასისტენტი და სხვ.) და ა.შ.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მისცეს პირს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების, საგადასახადო დაბეგვრის ზოგადი პრინციპებისა და ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილეობისათვის აუცილებელი ძირითადი საკითხების ცოდნა.

გამოუმუშაოს სამეურნეო ოპერაციის აღქმისა და შეფასების, სამეურნეო ოპერაციის დოკუმენტირების, ბუღალტრული მონაცემების დაჯგუფებისა და რეგისტრაციის, საბუღალტრო რეგისტრებში სამეურნეო ოპერაციის ასახვის, ბუღალტრული ანგარიშგების დახურვის, საშემოსავლო და დღგ-ის აღრიცხვის, საცდელი ბალანსის შედგენის, დანახარჯების კლასიფიკაციის, პერიოდიზაციისა და თვითღირებულების კალკულაციის, შიდა მენეჯმენტისთვის ანგარიშგების შედგენა-წარდგენისა და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამის გამოყენების უნარები;

შექმნას და გაამართლოს საზოგადოების მოლოდინი, რომ ამ პროგრამით მომზადებული სპეციალისტები დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკისა და კონფიდენციალობის დაცვით, აღჭურვილები იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების მოპოვებაში მონაწილეობა

- სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა ხელით მუშაობის პირობებში და კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით
- შიდა მოხმარების მიზნით (ოპერატიული მართვისათვის) ანგარიშგების მომზადება-წარდგენა
- საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში მონაწილეობა
- პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 93 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 17 სასწავლო თვე

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების – სკოლის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულები -15 კრედიტის მოცულობით.